

1963/9



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (202)

20 თებერვალი

1963 წელი

ზ ი ნ ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრაზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

- 72. ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ირანის შაჰინ-შაჰის მთავრობას შორის საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო კონტროლისა და ინციდენტების რეგულირების წესის შესახებ.
- 73. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავსტრალიის კავშირში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ა. თ. კურდიუკოვის გათავისუფლების შესახებ.
- 74. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ავსტრალიის კავშირში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ვ. ა. ლოგინოვის დანიშვნის შესახებ.
- 75. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შუა აზიის ეკონომიური რაიონის შექმნის შესახებ.
- 76. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შუა აზიის ეკონომიური რაიონის მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.
- 77. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის შუა აზიის ეკონომიური რაიონის მშენებლობის მინისტრად აშხ. ვ. მ. გუშჩინის დანიშვნის შესახებ.
- 78. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იემენის არაბთა რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩად ნ. პ. სულიცკის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

- 79. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ ვ. ბ. შკოლცკის დაჯილდოების შესახებ.
- 80. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით აშხ. მ. ნ. კოკოვიჩინის დაჯილდოების შესახებ.



81. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორის, სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის პ. ა. კუბრაიანოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
82. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების იმ მუშებისათვის, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩრდილოეთ დონეც-დონბასისა და დნეპრ-კრივიოი როვის არხების მშენებლობაზე.
83. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით სსრ კავშირის სამოქალაქო საპაერო ფლოტის დაჯილდოების შესახებ.
84. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერჯიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის ი. ვ. კურჩატოვის სახელობის ატომური ენერჯიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ა. პ. ალექსანდროვის დაჯილდოების შესახებ.
85. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ მილიციის ლეიტენანტ ა. ნ. გრუშინის დაჯილდოების შესახებ.
86. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ ვ. გ. ივანოვის დაჯილდოების შესახებ.
87. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით მწერალ ს. ი. ჩიქოვანის დაჯილდოების შესახებ.
88. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლენინის ორდენით სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ა. ა. პლასტოვის დაჯილდოების შესახებ.
89. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შრომის წითელი დროშის ორდენით ზეთოვანი და ეთერ-ზეთოვანი კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლეო ინსტიტუტის დაჯილდოების შესახებ.
90. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ პირველი თანრიგის ზემდევის ვ. დ. შვეჩუკის დაჯილდოების შესახებ.

ბანყოფილება მისამ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრევენეს რწმუნების სიგელები გადასცა იემენის არაბთა რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ალი სეიდ ალ-ხაულიანმა.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
ეკონომიური რაიონების შექმნა.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება მემო

91. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

საღვაწაობა

72 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ირანის შაჰინშაჰის მთავრობას შორის საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის რეჟიმის, სასაზღვრო კონფლიქტებისა და ინციდენტების რეგულირების წესის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ და ირანის შაჰინშაჰის მთავრობამ ისურვეს განსაზღვრონ დონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის რეჟიმის სათანადოდ დაცვას, და თავიდან აიცილონ ამ საზღვარზე კონფლიქტებისა და ინციდენტების წარმოქმნა, ხოლო წარმოქმნის შემთხვევაში უზრუნველყონ მათი სასწრაფოდ გამოკვლევა და მოწესრიგება, და გადაწყვიტეს დადონ ეს ხელშეკრულება, რისთვისაც თავ-თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ — პავლე დიმიტრის ძე ორლოვი, სსრ კავშირის დესპანი,

ირანის შაჰინშაჰის მთავრობამ — მისი აღმატებულება კორპუსის გენერალი, სენატორი ამანოლა ჯაჰანბანი,

რომლებიც, თავ-თავიანთი რწმუნებების წარმოდგენის შემდეგ, რწმუნებებისა, რაც ჯეროვნად გაფორმებული და სრულ წესრიგში აღმოჩნდა, შეთანხმდნენ ქვემოთაყვანილზე.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა I

საზღვრის ხაზის ვატირება, სასაზღვრო ნიშნების და სასაზღვრო განაბაზების მოვლა

მუხლი 1

სახელმწიფო საზღვრის ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ირანს შორის, დადგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ირანს შორის 1954 წლის 2 დეკემბერს (1333 წლის 11 აპრის) სასაზღვრო და საფინანსო საკითხების მოწესრიგების შესახებ დადებული შეთანხმებით, აღვიღოთ გადის ისე, როგორც ეს განსაზღვრულია დემარკაციისა და რედემარკაციის დოკუმენტებში, რომლებსაც საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის შერეულმა საბჭოთა კავშირ-ირანის კომისიამ ქ. თეირანში ხელი მოაწერა 1957 წლის 11 აპრილს (1336 წლის 28 ფარვარდინს), აგრეთვე როგორც ეს განსაზღვრულია სსრ კავ-

შირის, ირანისა და თურქეთის და სსრ კავშირის, ირანისა და ავღანეთის საზღვრების შესაყარის დოკუმენტებში.

ეს დოკუმენტებია:

1. ოქმი-აღწერა, თუ როგორ გადის სახელმწიფო საზღვრის ხაზი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ირანს შორის, სსრ კავშირის, ირანისა და თურქეთის საზღვრების შესაყარზე დადგმული სამმხრივი სასაზღვრო ნიშნიდან სსრ კავშირის, ირანისა და ავღანეთის საზღვრების შესაყარზე დადგმულ სამმხრივ სასაზღვრო ნიშნამდე, აგრეთვე ოქმი-აღწერის შესაბამისი დანართები და დამატებები:

a) სსრ კავშირსა და ირანს შორის სახელმწიფო საზღვრის სასაზღვრო ნიშნების გეოდეზიური განსაზღვრის რუქებისა და სქემების ალბომი;

b) სასაზღვრო ნიშნების ოქმები ამ ოქმების მეორე მხარეზე მოცემული სქემა-კროკებით;

c) სასაზღვრო ნიშნების კოორდინატების კატალოგი;

d) სასაზღვრო ნიშნების ნუსხა.

2. სსრ კავშირის, ირანისა და თურქეთის საზღვრების შესაყარზე დადგმული სამმხრივი სასაზღვრო ნიშნის დოკუმენტები, ხელმოწერილი დემ-ყიშ-ლაყში 1956 წლის 15 ოქტომბერს (1335 წლის 23 მეპრს).

3. სსრ კავშირ-ავღანეთის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დროს სსრ კავშირის, ირანისა და ავღანეთის საზღვრების შესაყარზე დადგმული სამმხრივი სასაზღვრო ნიშნის დოკუმენტები, ხელმოწერილი დაბა სერახს-ში 1948 წლის 30 ივნისს (1327 წლის 9 თირს).

4. სხვა დანართები და დამატებანი, რომლებიც შეიძლება შეიქმნას ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის მანძილზე.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრული საზღვრის ხაზი ვერტიკალური მიმართულებით გამოიწვევს აგრეთვე საპაერო სივრცეს და მიწის წიაღს. ამ ხელშეკრულებაში ამ ხაზს ეწოდება „საზღვარი“ ან „საზღვრის ხაზი“.

მუხლი 2

ხელშეკრულების დამდები მხარეები კისრულობენ მოუარონ სსრ კავშირსა და ირანს შორის საზღვრის ხაზის აღსანიშნავად დადგმულ სასაზღვრო ნიშნებს, აგრეთვე სასაზღვრო განაკაფებს ისე, რომ სასაზღვრო ბოძებისა და მიჯნების ადგილმდებარეობა, შესახედაობა, ფორმა, ზომა და ფერი, განაკაფების სიგანე და სისუფთავე შეესაბამებოდნენ საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დოკუმენტებიდან გამომდინარე ყველა მოთხოვნას.

მუხლი 3

სასაზღვრო ნიშნების და სასაზღვრო განაკაფების მოვლა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის განაწილება შემდეგნაირად:

1. სსრ კავშირის ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო ბოძებისა და სასაზღვრო განაკაფების მოვლას უზრუნველყოფს საბჭოთა მხარე.

2. ირანის ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო ბოძებისა და სასაზღვრო განაკაფების მოვლას უზრუნველყოფს ირანის მხარე.

3. ზედ საზღვრის ხაზზე დადგმული სასაზღვრო ნიშნების ცენტრების მოვლას კისრულობენ:

ა) ლუწი ნომრიანი ნიშნების ცენტრებისას — საბჭოთა მხარე;

ბ) კენტი ნომრიანი ნიშნების ცენტრებისას — ირანის მხარე;

4. ცალკეული მარტოობების სახით ძნელად მისასვლელ ფლანგებზე დადგმული სასაზღვრო ნიშნების მოვლას კისრულობს ის მხარე, რომლის ტერიტორიიდანაც უფრო ადვილია ამ ბოძებთან მისვლა.

მუხლი 4

1. სასაზღვრო ნიშნების მდგომარეობის და ადგილმდებარეობის და სასაზღვრო განაკაფების მდგომარეობის დათვალიერებას ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის სათანადო ხელისუფალნი აწყობენ 3 მუხლის შესაბამისად თავ-თავიანთი შეხედულებისამებრ. მაგრამ სასაზღვრო ნიშნების და განაკაფების ცალმხრივი დათვალიერების გარდა უნდა მოეწყოს ყოველწლიური ერთობლივი საკონტროლო დათვალიერება.

2. სასაზღვრო ნიშნების და სასაზღვრო განაკაფების ერთობლივი საკონტროლო დათვალიერება უნდა მოეწყოს ყოველწლიურად აგვისტო-სექტემბრის (მორდად-შაპრივარს) თვეებში. ერთობლივი საკონტროლო დათვალიერების შესახებ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ყოველთვის შეუთანხმდებიან ერთმანეთს.

3. იმ შემთხვევაში, როცა იმავე წელს საჭიროა სასაზღვრო ნიშნების ან განაკაფების დამატებითი დათვალიერება, ხელშეკრულებს დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ამის შესახებ წერილობით აფრთხილებენ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარეს. დამატებითი ერთობლივი დათვალიერება მოეწყობა უწყების ჩაბარების მომენტიდან სულ ბევრი ათი დღის შემდეგ.

საკონტროლო დათვალიერების შედეგად მხარეთა წარმომადგენლები შეადგენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და სპარსულ ენებზე.

მუხლი 5

1. სასაზღვრო ბოძების დაკარგვის, დანგრევის ან გაფუჭების შემთხვევაში იმ მხარის სათანადო ხელისუფალნი, რომლის ტერიტორიაზეც იღა ეს სასაზღვრო ბოძები ან, რომლებსაც 3 მუხლის თანახმად მიჩენილი პქონდათ ისინი, დაუყოვნებლივ მიიღებენ ზომებს მათს აღსადგენად ან შესაკეთებლად. ხელშეკრულების დამდები ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან სამუშაოთა დაწყებამდე სულ ბევრი ათი დღით ადრე წერილობით შეატყობინონ ხელშეკრულების დამდებ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ სამუშაოთა დაწყება.

2. დაკარგულ, დანგრეულ ან გაფუჭებულ სასაზღვრო ბოძებს აღადგენენ ერთი მხარის სათანადო ხელისუფალნი მეორე მხარის სათანადო ხელი-

სუფალთა თანდასწრებით. სასაზღვრო ბოძის აღდგენის შესახებ ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლება შეადგენენ აქტს ორ ეგზემპლარად, თითოეულს რუსულ და სპარსულ ენებზე. აღდგენის დროს ახლად დამზადებული სასაზღვრო ბოძები უნდა შეესაბამებოდნენ იმ ნიმუშებს, რომლებიც დადგენილია საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის 1 მუხლში აღნიშნული დოკუმენტებით.

3. სასაზღვრო ნიშნის ან სასაზღვრო ბოძის აღდგენის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ შეიცვალოს მისი ადგილმდებარეობა. თუ დაკარგულია სასაზღვრო ნიშნების ან ბოძების ადგილსამყოფელის მკაფიო ნიშნები, ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი ვალდებული არიან მათი აღდგენის დროს იხელმძღვანელონ ამ ხელშეკრულების 1 მუხლში აღნიშნული საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დოკუმენტებით. მონაცემები, რომლებსაც შეიცავენ ეს დოკუმენტები, უნდა შეიწმინდეს ადგილზე საკონტროლო გაზომვებით.

4. საზღვრის წყლოვან მონაკვეთზე წყალდიდობით დაზიანებული ან გადგურებული სასაზღვრო ბოძების აღდგენის ან აგებისას შეიძლება შეიცვალოს მათი წინანდელი ადგილმდებარეობა და ახლად დაიდგას ეს ბოძები იმ წერტილებში, სადაც მათი უვნებლობა გარანტირებული იქნება, ამასთან გატარებული საზღვრის ხაზი უცვლელი უნდა დარჩეს. საზღვრის წყლოვან მონაკვეთზე სასაზღვრო ბოძების ადგილმდებარეობის აღნიშნული შეცვლა ნიშნდება ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის თანხმობით. საჭიროების შემთხვევაში სასაზღვრო ბოძების ახალ ადგილზე გადატანა დასაშვებია საზღვრის ღრანტოვან მონაკვეთზეც. ასეთი ცვლილებების შედეგების შესახებ ხელშეკრულების დამდები მხარეების წარმომადგენლები შეადგენენ სასაზღვრო ნიშნის ოქმს და სქემა-კროკს, რომლებიც ფორმითა და შინაარსით სავსებით უნდა შეესაბამებოდნენ დემარკაციისა და რედემარკაციის დანარჩენ დოკუმენტებს და დაერთვის მათ.

5. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალთა საჭიროების შემთხვევაში ურთიერთშორის შეთანხმებით საზღვრის ხაზზე შეუძლიათ დადგან დამატებითი სასაზღვრო ბოძები და გააფორმონ მათი საბუთები, გათვალისწინებულნი ამ მუხლის 4 პუნქტით. ამასთან გატარებული საზღვრის ხაზი უცვლელი უნდა დარჩეს. საზღვარზე დამატებით დადგმული სასაზღვრო ნიშნები უნდა შეესაბამებოდნენ 1955 — 1956 წლებში (1334-1335 წლებში) საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დროს მიღებულ ნიშნების ნიმუშებს.

6. იმ სასაზღვრო ბოძების შესაკეთებელ სამუშაოებს, რომლებიც 3 მუხლის თანახმად მიჩენილი აქვს ამა თუ იმ მხარეს, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე ჩაატარებს დამოუკიდებლად, მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე.

7. ერთი მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლები, თუ მათ შეამჩნიეს დანგრეული ან დაზიანებული სასაზღვრო ბოძი მეორე მხარის ტერიტორიაზე, ამას შეატყობინებენ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა სა-

საზღვრო ბოძის აღდგენის ან შეკეთების მიზნით. იმ მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლები, რომლის ტერიტორიაზეც მემჩნეულია სასაზღვრო ბოძის დაკარგვა, დანგრევა ან გაფუჭება, ვალდებული არიან აღადგინონ ან შეაკეთონ იგი.

8. ხელშეკრულების დამდები მხარეები სასაზღვრო ნიშნების სათანადოდ დაცვისათვის მიიღებენ ზომებს და პასუხისგებაში მისცემენ იმ პირებს, რომლებიც დამნაშავედ იქნებიან ცნობილი სასაზღვრო ნიშნების გადაადგილებაში, დაზიანებასა და მოსპობაში. ასეთ შემთხვევებში მეორე მხარის მცხოვრებათა მიერ დაზიანებული ან მოსპობილი სასაზღვრო ნიშნები აღდგენილ უნდა იქნას ამ მხარის ხარჯზე.

მუხლი 6

1. საზღვრის ხაზის მთელ სიგრძეზე, სადაც კი არის ტყე, ბუჩქნარი, მაღალი ლეღაში და ბალახი, ვაკეთდება 10 მეტრის სიგანის სასაზღვრო განაკაფი (სახელმწიფო საზღვრის ხაზიდან ხუთ-ხუთი მეტრი თითოეულ მხარეს). ეს განაკაფი სრულ წესრიგში უნდა იყოს და საჭიროებისდა მიხედვით უნდა გაიწმინდოს ბუჩქნარისა და ხილვადობის ხელშემშლელი სხვა ბარდებისაგან. მიწის მოხვნა ან სხვა რაიმე ნაგებობის ან შენობის აგება ამ განაკაფზე დაუშვებელია. ამაში დამნაშავე პირნი მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

2. თითოეული მხარე ასუფთავებს სასაზღვრო განაკაფს თავის ტერიტორიაზე. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი სასაზღვრო განაკაფის მომავალი დასასუფთავებელი სამუშაოების დაწყებას ერთმანეთს აცნობებენ სულ ბევრი 10 დღით ადრე. ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწონ ამ სამუშაოებს.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა II

სასაზღვრო წყლები, სასაზღვრო წყლებით სარგებლობის წესი, საზღვრის ხაზის გადამკვეთი რკინიგზებითა და გზატკეცილებით სარგებლობის წესი

მუხლი 7

1. ამ ხელშეკრულებაში სასაზღვრო წყლებია მდინარეთა ის მონაკვეთები, რომლებზეც გადის საზღვრის ხაზი, როგორც ეს აღნიშნულია 1955-1956 წლების (1334-1336 წლების) საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის დოკუმენტებში.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები მიიღებენ სათანადო ზომებს იმისათვის, რომ სასაზღვრო წყლებით სარგებლობის დროს არ დაირღვეს ამ ხელშეკრულების დადგენილებანი და პატივი სცენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის უფლებებსა და ინტერესებს.

მუხლი 8

1. სასაზღვრო მდინარეებზე ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის ანაოსნო საშუალებებს (ნაგებს და სხვ.) უფლება აქვთ დაუბრკოლებლად ინაოსნონ საზღვრის ხაზამდე.

2. ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სანაოსნო საშუალებებისათვის სასაზღვრო წყლებში ნაოსნობა ნებადართულია მხოლოდ დღე-ღამის ნათელ დროს.

3. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის მცხოვრებთ უფლება აქვთ ითევზაონ სასაზღვრო წლებში საზღვრის ხაზამდე.

მუხლი 9

1. იმ მიზნით, რომ სასაზღვრო მდინარეთა ნაპირები არ დაირღვეს და თავიდან იქნას აცილებული კალაპოტის შეცვლა, მდინარის ნაპირები უნდა გამაგრდეს იქ, სადაც ამას ერთად მიიჩნევენ საჭიროდ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი. ამ სამუშაოებს შეეასრულებს და შესაბამის ხარჯებს გაიღებს ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის ნაპირი.

2. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ შეუძლია ხელოვნურად შეცვალოს მდინარის კალაპოტი.

ბუნებრივად ან სტიქიურ მოვლენათა შედეგად სასაზღვრო მდინარეების კალაპოტის შეცვლის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შეუძლიათ ერთად და თანაბარ საწყისებზე გაასწორონ კალაპოტი, თუ კი ამას საჭიროდ მიიჩნევენ მათი შესაბამისი ხელისუფალნი.

3. იმ ოქმის II პუნქტის შესაბამისად, რომელიც ერთვის სასაზღვრო და საფინანსო საკითხების მოწესრიგების შესახებ 1954 წლის 2 დეკემბერს (1333 წლის 11 აზარს) სსრ კავშირსა და ირანს შორის დადებულ შეთანხმებას, სასაზღვრო მდინარეების კალაპოტის შეცვლა არ ცვლის გატარებულ საზღვრის ხაზს, თუ კი ხელშეკრულების დამდები მხარეები ამის შესახებ არ დადებენ სპეციალურ შეთანხმებას.

მუხლი 10

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები იზრუნებენ იმაზე, რომ სასაზღვრო წყლებში დაიცვან სათანადო სუსუფთავე და არ გამოიწვიონ მათი ხელოვნური გაბინძურება და დანაგვიანება.

2. სასაზღვრო გამდინავე წყლები უნდა გაიწმინდოს იმ მონაკვეთებზე, სადაც ამას ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ერთად მიიჩნევენ საჭიროდ. ასეთ შემთხვევაში გაწმენდის ხარჯები თანაბრად განაწილდება ხელშეკრულების დამდებ ორივე მხარეს შორის.

3. სასაზღვრო წყლების იმ მონაკვეთებს, რომლებიც ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის ტერიტორიაზე მდებარეობენ მთლიანად, საჭიროებისდა მიხედვით გაწმენდს ეს მხარე თავის ხარჯზე.

4. სასაზღვრო წყლების გაწმენდის დროს წყლიდან ამოღებული გრუნტი და ქვები, ხეები და სხვა საგნები უნდა გადაიყაროს ნაპირიდან ისეთ მანძილზე ან მოსწორდეს ისე, რომ არ იყოს მოსალოდნელი ნაპირის ჩანგრევა და კალპოტის დანაგვიანება და წყალდიდობის დროს არ შეფერხდეს წყლის ჩადინება.

მუხლი 11

იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე სასაზღვრო წყლებში ან მდინარის ნაპირზე ნახავს რაიმე ამოუცნობელ საგნებს, ამ მხარის სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს, რათა დაადგინონ, თუ ვის ეკუთვნის ეს საგნები.

სასაზღვრო წყლებში ან სასაზღვრო მდინარის ნაპირზე ნანახი ადამიანის გვამის გამოცნობა, აგრეთვე იმის დადგენა, თუ ვისია ცხოველის ლეში, ორივე მხარის წარმომადგენლებმა ერთად უნდა მოახდინონ.

მუხლი 12

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მცხოვრებთ უფლება ენიჭებათ პირუტყვი სარწყულებლად მირეკონ სასაზღვრო მდინარეებთან. მაგრამ სარწყულებლად მორეკილი პირუტყვი არ უნდა გადავიდეს მეორე მხარის ტერიტორიაზე. თუ პირუტყვი შემთხვევით გადავიდა საზღვრის მეორე მხარეზე, ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალნი სასწრაფოდ მიიღებენ ზომებს პირუტყვის უკან გადმოსარეკად.

წყლით სარგებლობის პუნქტებს აწესებენ მესაზღვრე კომისრები და ცნობისათვის ნაცვალგების საფუძველზე შეატყობინებენ მეორე მხარის მესაზღვრე კომისრებს.

მუხლი 13

საკითხები, დაკავშირებულნი სასაზღვრო მდინარეებზე რაიმე ისეთი ნაგებობების ან შენობების აგებასა და მუშაობასთან, რომლებმაც შეიძლება დაარღვიონ ამ მდინარეების რეჟიმი, აგრეთვე წყლით სარგებლობის საკითხები მოწესრიგდება სპეციალური შეთანხმებებით ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა სასაზღვრო მდინარეებზე არსებული რაიმე ნაგებობების ხელახლა მოწყობა ან დანგრევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ამ მდინარეებში წყლის დონის შეცვლა, შესაბამის სამუშაოთა დაწყება შეიძლება მხოლოდ მეორე მხარისაგან თანხმობის მიღების შემდეგ.

მუხლი 14

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი შესაძლებლობისამებრ რეგულარულად მიაწვდიან ერთმანეთს ცნობებს სასაზღვრო მდინარეებში წყლის დონისა და რაოდენობის შესახებ, აგრეთვე ცნობებს ამ მხარეთა ტერიტორიების სიღრმეში მოსული ნალექების შესახებ, თუ კი ასეთი ცნობები გამოდგება იმ საშიშროების და ზარალის თავიდან ასაცილებლად, რასაც წყალდიდობა ქმნის.

მუხლი 15

1. საზღვრის გადაშვებით რკინიგზებით და გზატკეცილებით მიმოსვლა და ამ გზებზე გადასასვლელი პუნქტები მოწესრიგდება სპეციალური შეთანხმებებით ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის.

2. იმ ადგილებში, სადაც რკინიგზები და გზატკეცილები საზღვრის ხაზს გადაკვეთენ, ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თავის ტერიტორიაზე დადგამს და ჯეროვნად მოუვლის სპეციალურ ნიშნებს და შლაგბაუმებს.

3. ხელშეკრულების დამდები მხარეები ზომებს მიიღებენ იმისათვის, რომ საზღვრის გადაშვებით რკინიგზები და გზატკეცილები, გახსნილნი მოძრაობისათვის, წესიერად იყოს მოვლილი. საზღვრის ხაზამდე მათ თავისი ხარჯით შეაკეთებენ ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე.

მუხლი 16

1. საზღვრის გადაშვებით ხიდები, გახსნილნი მოძრაობისათვის, წესიერად უნდა იყოს მოვლილი და ხიდზე აღნიშნულ საზღვრის ხაზამდე თავისი ხარჯით უნდა შეაკეთოს ხელშეკრულების დამდებმა თითოეულმა მხარემ, თუკი ამ საკითხზე მიღწეული არ იქნა საგანგებო შეთანხმება. თუ როგორ, რა ვადებში და რანაირი შეკეთება უნდა მოხდეს, ამაზე ხელშეკრულების დამდები მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან.

2. ხელშეკრულების დამდებ თითოეულ მხარეს, საჭიროებისდა მიხედვით, შეუძლია მოახდინოს მეორე მხარის ტერიტორიაზე მდებარე სასაზღვრო ხიდების ნაწილების ტექნიკური დათვალიერება; მოსალოდნელი დათვალიერება, ამასთან ისე, რომ აღნიშნული იყოს მისი დაწყების ვადაც, ხოლო დათვალიერების დათავრების შემდეგ — მისი შედეგები უნდა აცნობონ ამ მხარის სათანადო ხელისუფალთ სულ ბევრი 48 საათით ადრე. დათვალიერებას უნდა დაესწრონ ამ მხარის სათანადო ხელისუფალნი.

3. სასაზღვრო ხიდებზე მოძრაობის წესი დადგინდება სათანადო ხელისუფალთა წარმომადგენლების შეთანხმებით.

4. ამ მუხლის დებულებანი არ ეხება, რკინიგზის ხიდს მდინარე არაქსზე ჟულფაში, რომლის ექსპლუატაციას განსაზღვრავს განსაკუთრებული შეთანხმება.

5. სასაზღვრო მდინარეებზე ახალი ხიდების აგება მოწესრიგდება განსაკუთრებული შეთანხმებებით ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა III

ნადირობა, საბუნო და სოფლის მეურნეობა და სამთო საქმი

მუხლი 17

1. ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე თვალყურს ადევნებს იმას, რომ საზღვრის ხაზის ახლოს მტკიცედ იქნას დაცული თავის ტერიტორიაზე არსებული ნადირობის წესები და რომ ნადირობის დროს აღიკვეთოს სროლა, ნადირობა და ფრინველის დევნა საზღვრის გაღალმა.

2. ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის სათანადო ხელისუფალნი საპირობებისა და მიხედვით შეთანხმდებიან ნადირისა და ფრინგელის დაცვის ყველა საკითხის შესახებ, აგრეთვე საზღვრის ცალკეულ უბნებზე ნადირობის აკრძალვის ერთდროული ვადების შესახებ.

მუხლი 18

თუ ბუნებრივ მოვლენათა გამო ან ტყის გაჩეხვის დროს საზღვრის ხაზზე წაიქცევა ხე, მაშინ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს, რომ ხის მეპატრონე მხარის დაინტერესებულმა პირებმა ეს ხე დამოკრონ და წაიღონ თავიანთ ტერიტორიაზე. ხეების მეპატრონე მხარის სათანადო ხელისუფლებმა ასეთი შემთხვევები უნდა აცნობონ მეორე მხარეს სათანადო ხელისუფალთ.

მუხლი 19

1. სოფლის მეურნეობის სამუშაოები, აგრეთვე მთამადნეულის საძიებო და საექსპლოატაციო სამუშაოები საზღვრის ხაზის უშუალო სიახლოვეს ისე უნდა მოეწყოს, რომ ზარალი არ მიაყენოს მეორე მხარის ტერიტორიას.

2. საზღვრის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფად მის ორივე მხარეს უნდა რჩებოდეს 20 მეტრი სიგანის ზოლი, სადაც ამ მუხლის 1 პუნქტში ჩამოთვლილი სამუშაოები, როგორც წესი, აკრძალული უნდა იყოს და დაიშვება მხოლოდ როგორც გამონაკლისი, ხელშეკრულების დამდები მხარეების სათანადო ხელისუფალთა შორის შეთანხმებით.

3. თუ ცალკეულ შემთხვევებში ამ მუხლის 2 პუნქტით აღნიშნული ზოლის დაწესება მიზანშეწონილი არ არის, მაშინ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ურთიერთშორის შეთანხმებით განახორციელებენ საზღვრის ხაზის დაცვის უზრუნველსაყოფ სხვა ღონისძიებებს.

4. საზღვრის ხაზის მახლობლად ყოველი სახის ასაფეთქებელი და სხვაგვარი სამუშაოები, დაკავშირებულნი მთის ქანების და გრუნტის ჩამონგრევასა და გადაადგილებასთან, შეიძლება მოეწყოს მხოლოდ მაშინ, თუ წინასწარ, სულ ბევრი 48 საათით ადრე, შეატყობინებენ მეორე მხარეს.

ამ სამუშაოების წარმოების დროს მიღებულ უნდა იქნას სიფრთხილის ზომები, რათა ზიანი არ მიაყენონ მეორე მხარის მოქალაქეებს და ქონებას.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა IV

კონფლიქტები და ინციდენტები საზღვარზე

მუხლი 20

ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი თავ-თავიანთ ტერიტორიაზე კისრულობენ, რომ

1. მიიღებენ საჭირო ზომებს იმ კონფლიქტების და ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საზღვარზე.

2. მიიღებენ საჭირო ზომებს, რათა თავიდან აიცილონ შეიარაღებულ ან შეიარაღებულ პირთა მიერ მეორე მხარის ტერიტორიაზე დანაშაულებრივი მოქმედება, აგრეთვე წინააღმდეგობა გაუწიონ მათ საზღვრის ამა თუ იმ მხარეზე გადასვლაში, და ამას აცნობებენ ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავენი დაარღვევენ საზღვარს და ერთი მხარის ტერიტორიიდან გადავიდენ მეორე მხარის ტერიტორიაზე, პირველი მხარის სათანადო ხელისუფალნი ამას აცნობებენ მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

3. მიიღებენ საჭირო ზომებს იმ მოსამზადებელი ქმედობების და ცდების თავიდან ასაცილებლად, რომლებსაც შეუძლიათ ავნონ სასაზღვრო ზოლის უშიშროებასა და მყუდროებას ან ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ინტერესებს, ან კიდევ აღნიშნული ზონის მცხოვრებთა პროვოცირება, აგრეთვე მიიღებენ ზომებს იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც ხელს უწყობს და მფარველობს საზღვრის უკანონოდ გადასვლას და მოუწოდებს მცხოვრებთ გადასახლდნენ ერთ-ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი იქნება, რომ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის სასაზღვრო ზოლში ყოფილა პირი, დამნაშავე ამ პუნქტის პირველ აბზაცში აღნიშნულ ქმედობებში, ხელშეკრულების დამდები ამ მხარის სათანადო ხელისუფალნი ან საკუთარი ინიციატივით, ან მას შემდეგ რაც ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთაგან მიიღებენ ცნობებს, ანდა საბუთებს ამ პირების ან მათი ადგილსამყოფელის შესახებ, ქვეყნის კანონების მიხედვით განახორციელებენ საჭირო ზომებს ასეთ ქმედობათა თავიდან ასაცილებლად.

4. მიიღებენ საჭირო ზომებს კონტრაბანდასთან საბრძოლველად და სასაზღვრო ზოლიდან კონტრაბანდისტების გასადევნად.

5. მიიღებენ გამაფრთხილებელ ზომებს, რათა ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის ტერიტორიაზე არ გადაიტანონ ეპიდემია, ეპიზოოტია და სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლები.

ამ მიზნით ხელშეკრულების დამდები იმ მხარის სათანადო ხელისუფალნი, რომლის ტერიტორიაზეც გაჩნდა ეპიდემია, ეპიზოოტია ან სოფლის მეურნეობის მცენარეთა მავნებლები, ვალდებული არიან შეატყობინონ ეს მეორე მხარის სათანადო ხელისუფალთ.

იმ შემთხვევაში, როცა წარმოიშვება ეჭვი, რომ ერთი მხარის ტერიტორიიდან მეორე მხარის ტერიტორიაზე გადასაცემ პირუტყვთა შორის არის ეპიზოოტია, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარის სანიტარულ-ვეტერინარული ზედამხედველობის წესების შესაბამისად, საჭირო ზომებს მიიღებენ, რათა თავიდან აიცილონ ეპიზოოტის გადატანა.

6. გამოიკვლევენ და სათანადო შემთხვევებში გადაჭრიან ყველა სასაზღვრო კონფლიქტს და ინციდენტს, მათ შორის;

a) ხელშეკრულების დამდები მეორე მხარის პირების, ცხოველების, ობიექტებისა ან ტერიტორიისათვის ტყვიის დაშენას საზღვარგადაღმა;

b) მკვლელობას, დაჭრას, სხეულის დაზიანებას და ჯანმრთელობისათვის სხვაგვარი ვნების მიყენებას, რასაც გამოიწვევს საზღვრის გადაღმა ან საზღვრის გადასვლის დროს სროლა, აგრეთვე მეორე მხარის ტერიტორიაზე მყოფ ერთი მხარის პირთა მიმართ ძალმომრეობით ქმედობას;

c) საზღვარზე თანამდებობის ან კერძო პირთა უკანონოდ გადასვლას. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფლებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ გამოძიება, და თუ დაადგენენ, რომ საზღვარზე გადასვლას წინასწარი განზრახვა არ ჰქონია, მაშინ გადასულ პირებს უკან გადასცემენ იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიიდანაც მოვიდნენ ისინი. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს იმ პირის უკან მიღებაზე, რომლის მიმართაც დადგინდა, რომ იგი საზღვარს წინასწარი განზრახვის გარეშე გადავიდა;

d) პირთა ძალადატანებით დასახლებას მეორე მხარის ტერიტორიაზე;

e) მეორე მხარის მიმართ შეუტაცხმყოფელ გამოთქმათა და ქმედობათა შემთხვევებს საზღვარზე;

f) საზღვრის დარღვევას საპაერო ხომალდების მიერ, აგრეთვე ნაევებისა და სხვა სანაოსნო საშუალებების მიერ;

g) სტიქიური მიზეზების გამო მეორე მხარის ტერიტორიაზე მოხვედრილი მეთევზეთა ნაევების, თევზსაჭერი იარაღების და სხვა საგნების აღმოჩენის შემთხვევებს;

h) სასაზღვრო ნიშნების ან სხვა სასაზღვრო ნაგებობათა, სამდინაროთა ჩათვლით, გადაადგილებას, დაზიანებას ან დანგრევას;

i) მეორე მხარის ტერიტორიაზე სახელმწიფო, კერძო ან სხვა ქონების მოტაცებას, მოსპობას ან დაზიანებას.

ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო, კერძო ან სხვა ქონება, მოტაცებული ან გადატანილი შემთხვევით ან წინასწარი განზრახვით მეორე მხარის ტერიტორიაზე, შეძლებისამებრ უნდა დაუბრუნდეს იმ მხარეს, რომელსაც იგი ეკუთვნის. იმ შემთხვევაში, თუ ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნება ნატურით შეუძლებელია, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი ურთიერთშორის შეთანხმებით განსაზღვრავენ, თუ რამდენად შესაძლებელია ანაზღაურდეს ზარალი და რა ოდენობით;

l) მეორე მხარის სასაზღვრო ტერიტორიის ფოტოსურათის გადაღებას;

k) შინაური ცხოველების და ფრინველების საზღვარზე გადასვლას ან გადარეკვას. ასეთ შემთხვევებში საზღვარზე გადასული ან გადარეკილი შინაური ცხოველები და ფრინველები, შეძლებისამებრ უნდა დაუბრუნდეს იმ მხარეს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. მატერიალური ზარალის დადასტურების შემთხვევაში, შეძლებისამებრ, ამ მუხლის 6 პუნქტის „i“ ლიტერას შესაბამისად საჭიროა მიყენებული ზარალის ანაზღაურება;

l) ხანძრის გავრცელებას საზღვრის გადაღმა მეორე მხარის ტერიტორიაზე;

m) საზღვრის გადაღმა რწმუნების არმქონე ოფიციალურ და კერძო პირთა გადალაპარაკებას და სხვა ფორმის ურთიერთობას;

რ) სხვა სასაზღვრო კონფლიქტებს და ინციდენტებს.

7. მინიჭებული უფლების ფარგლებში გამოიყვლევენ და გადაჭრიან ყოველგვარი ანაზღაურების პრეტენზიას, გამოწვეულს სასაზღვრო კონფლიქტით ან ინციდენტით და წარმოადგენილს ერთ-ერთი მხარის ან მის ტერიტორიაზე მყოფი პირების მიერ.

სასაზღვრო კონფლიქტის ან ინციდენტის გადაჭრასთან ერთად, რაც ხდება ამ მუხლის 6 პუნქტის გ, ლ, ი, კ ლიტერების შესაბამისად, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი გადაჭრიან აგრეთვე საკითხს, თუ რა წესით უნდა დააბრუნონ ნანახი ქონების მეორე მხარეს ტერიტორიაზე.

გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა V

სასაზღვრო ხელისუფალნი, მათი აღვილსამყოფელი, სამოქმედო რაიონები და საზღვარზე გადასვლის წესები

მუხლი 21

ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებულ სათანადო ხელისუფალთ წარმოადგენენ მესაზღვრე კომისრები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები.

მუხლი 22

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა და ირანის შაჰინშაჰის მთავრობა თითოეული დანიშნავს მესაზღვრე კომისრებს, მათ მოადგილეებსა და თანაშემწეებს.

მესაზღვრე კომისრებმა ურთიერთთანამშრომლობით უნდა აღსრულონ ის მოვალეობანი, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ხელშეკრულების დადგენილებებიდან.

მესაზღვრე კომისრების პირველი შეხვედრა უნდა მოხდეს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან სულ ბევრი 14 დღის შემდეგ.

მუხლი 23

მესაზღვრე კომისრების რაოდენობა, მათი სამოქმედო უბნები და მათი მუდმივი ადგილსამყოფელი წესდება ოქმით, რომელიც ამ ხელშეკრულებას თან ერთვის.

მესაზღვრე კომისრების, მათი მოადგილეების და თანაშემწეების გვარებს და სახელებს ერთმანეთს შეატყობინებენ დიპლომატიური წესით.

მესაზღვრე კომისრების მოადგილენი სარგებლობენ ყველა უფლებით, რომლებიც მინიჭებული აქვთ მესაზღვრე კომისრებს. ისინი ასრულებენ მესაზღვრე კომისართა მოვალეობას, როცა ეს უკანასკნელნი არ იმყოფებიან.

იმ შემთხვევაში, როცა საჭიროა შეიცვალოს მესაზღვრე კომისართა რაოდენობა, მათი თანამდებობრივი მდგომარეობა, სამოქმედო რაიონები და მუდმივი ადგილსამყოფელი, რაც აღნიშნულია ამ ხელშეკრულებისათვის დართულ

ოქმში, ხელშეკრულების დამდები მხარეები შეთანხმდებიან ასეთ ცვლილებებზე დიპლომატიური წესით.

მუხლი 24

1. მესაზღვრე კომისრები ერთმანეთს აცნობებენ თავიანთ თანაშემწეთა მუდმივ ადგილსამყოფელს.

თანაშემწეთა მუდმივ ადგილსამყოფელს და მათ სამოქმედო რაიონებს მესაზღვრე კომისრები განაცხადებენ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ.

2. თანაშემწეების უფლებათა მოცულობას განსაზღვრავენ მესაზღვრე კომისრები.

3. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში შესაბამის მესაზღვრე კომისრებს შეუძლიათ შეცვალონ მესაზღვრე კომისრების მოადგილეებისა და თანაშემწეების მუდმივი ადგილსამყოფელი და მათი სამოქმედო რაიონები.

4. ყოველ მესაზღვრე კომისარს უფლება აქვს საჭირო შემთხვევებში ნოიწვიოს ექსპერტები.

მუხლი 25

ამ ხელშეკრულების 21 მუხლში მოხსენიებულ პირებს წერილობით რწმუნებებს, შედგენილს ორივე მხარის გენებზე, აძლევს:

სსრ კავშირის მესაზღვრე კომისრებს, მათ მოადგილეებს და თანაშემწეებს — სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების უფროსი;

ირანის შაჰინშაჰის მთავრობის მესაზღვრე კომისრებს, მათ მოადგილეებს და თანაშემწეებს — ქვეყნის მთავარი სასაზღვრო სამმართველოს უფროსი.

მუხლი 26

იმ შემთხვევაში, როცა დანიშნავენ ახალ მესაზღვრე კომისარს, მის მოადგილეს ან თანაშემწეებს, ხელშეკრულების დამდებ მხარეთა სათანადო ხელისუფალნი მიიღებენ ზომებს იმისათვის, რომ მუშაობის მსვლელობა არ შეწყდეს.

მუხლი 27

მესაზღვრე კომისრები იღებენ საჭირო ზომებს მათ კომპეტენციაში შემავალი სასაზღვრო კონფლიქტებისა და ინციდენტების მოსაწესრიგებლად.

ასეთ შემთხვევაში მესაზღვრე კომისრები ურთიერთშეთანხმებით ერთად მოახდენენ ამ კონფლიქტის ან ინციდენტის სათანადო გამოძიებას და გამოძიების შედეგებს შეიტანენ სხდომის ოქმში.

საკითხები, რომლებზეც მესაზღვრე კომისრების თანაშემწეთა შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება, გადასაპრელად უნდა გადაეცეს მესაზღვრე კომისრებს.

კონფლიქტები და ინციდენტები, რომელთა მოწესრიგებაზე მესაზღვრე კომისრები ვერ შეთანხმდნენ, უნდა გადაიჭრას დიპლომატიური წესით. გარდა ამისა თითოეულ მესაზღვრე კომისარს უფლება ენიჭება ყოველი დიდი მწარგნელობის მქონე საკითხი, საკუთარი შეხედულებისამებრ, გადასცეს დიპლომატიური წესით გადასაჭრელად, რის შესახებაც უნდა აცნობოს მეორე მხარის მესაზღვრე კომისარს.

ამ მუხლის დადგენილებანი არ გამორიცხავენ იმ შესაძლებლობას, რომ საკითხი, რომელსაც განიხილავენ დიპლომატიური წესით, კვლავ გადაეცეს გადასაჭრელად მესაზღვრე კომისრებს.

მუხლი 28

საზღვარზე მომხდარი ამა თუ იმ კონფლიქტის ან ინციდენტის ამომწურავი დადგენილებანი, ერთად მიღებული მესაზღვრე კომისრების მიერ, საბოლოოა.

თანხას, რომელიც ერგება თითოეულ მხარეს ზარალის ანაზღაურების შესახებ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, მესაზღვრე კომისრები გამოიანგარიშებენ დაუყოვნებლივ ინციდენტის მოწესრიგების შემდეგ. შემდგომი ანგარიშწორების წესი და საჭიროების შემთხვევაში ამ წესის შეცვლა მოხდება დიპლომატიური გზით.

მუხლი 29

მესაზღვრე კომისრები და მათი თანაშემწეები ერთად მუშაობას ეწევიან, როგორც წესი, სხდომებზე და შეხვედრების დროს მესაზღვრე კომისრების თითოეული სხდომის შესახებ შედგება ოქმი, რომელშიც მოკლედ უნდა აისახოს სხდომის მსვლელობა, მიღებული დადგენილებანი და მათი შესრულების ვადა.

მესაზღვრე კომისრების დადგენილებანი ოქმის ხელმოწერის მომენტიდან ჩაითვლება ორივე მხარისათვის სავალდებულოდ და საბოლოოდ.

წვრილმანი საკითხები შეიძლება გადაიჭრას მესაზღვრე კომისრებს შორის მიმოწერის გზით, თუ არც ერთი მათგანი არ მოითხოვს ასეთი საკითხის განხილვას სხდომაზე.

თანაშემწეების თითოეულ შეხვედრაზე შედგება აქტი, რომელშიც დაწერილებით იქნება აღნიშნული, თუ რა მოიმოქმედეს მათ, ხოლო საჭირო შემთხვევებში ჩაიწერება დასაკენები და წინადადებანი.

თანაშემწეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როცა მესაზღვრე კომისრები დაამტკიცებენ მათ.

ოქმები და აქტები მესაზღვრე კომისრების სხდომებისა და მათი თანაშემწეების შეხვედრების შესახებ უნდა შედგეს ორ ცალად, თითოეული რუსულ და სპარსულ ენებზე.

მუხლი 30

მესაზღვრე კომისართა სხდომა ან შეხვედრა ეწყობა ერთ-ერთი მათგანის წინადადებით და შეძლებისამებრ იმ ვადისათვის, რომელიც აღნიშნულია წი-

ნადადებაში. პასუხი მიწვევაზე უნდა მიეცეს შეძლებისამებრ დაუყოვნებლივ და, ყოველ შემთხვევაში, სულ ბევრი 48 საათის მანძილზე მიწვევის მიღების მომენტიდან. თუ სხდომის ან შეხვედრის შეთავაზებული ვადა მისაღები არ არის, მესაზღვრე კომისარი თავის პასუხში შეთავაზებს სხვა ვადას.

მესაზღვრე კომისარი, მიწვეული მეორე მხარის მესაზღვრე კომისარის მიერ, სხდომაზე ან შეხვედრაზე პირადად უნდა მივიდეს. თუ იგი ადგილზე არ იმყოფება საპატიო მიზეზით (ავადმყოფობა, მივლინება, შეგებულება), მაშინ მესაზღვრე კომისარს შეეცლის მისი მოადგილე, რომელმაც წინასწარ უნდა აცნობოს ეს მეორე მხარის მესაზღვრე კომისარს. მესაზღვრე კომისართა შეთანხმებით შეიძლება მრეწყოს მათ მოადგილეთა სხდომები და შეხვედრები.

მესაზღვრე კომისარების თანაშემწეთა შეხვედრები ხდება მხოლოდ მესაზღვრე კომისართა დავალებით.

მესაზღვრე კომისართა ან მათ თანაშემწეთა სხდომებსა ან შეხვედრებში შეიძლება მონაწილეობა მიიღონ მდივნებმა და თარჯიმნებმა.

მუხლი 31

სხდომები და შეხვედრები, რომლებზეც ლაპარაკია ამ ხელშეკრულების 30 მუხლში, უნდა გაიმართოს, როგორც წესი, იმ მხარის ტერიტორიაზე, რომლის ინიციატივითაც ეწყობა სხდომა ან შეხვედრა. მაგრამ მესაზღვრე კომისარებს შეუძლიათ არ დაიცვან ეს წესი, თუ ასეთი გადახვევის სასარგებლოდ მეტყველებს მიზანშეწონილობის მოსაზრება.

სხდომები ან შეხვედრები ტარდება იმ მხარის მესაზღვრე კომისარის ან მესაზღვრე კომისარის თანაშემწის ხელმძღვანელობით, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს მოლაპარაკება.

სხდომის დღის წესრიგი უნდა აცნობონ მიწვევასთან ერთად, ანდა დადგენილი უნდა იქნას წინასწარი მოლაპარაკების ან მიმოწერის გზით. საგანგებო შემთხვევებში, ურთიერთშეთანხმებით, განსახილველად შეიძლება მიღებულ იქნას აგრეთვე ის საკითხებიც, რომლებიც დღის წესრიგში არ არის აღნიშნული.

მუხლი 32

მესაზღვრე კომისარებს და მათ თანაშემწეებს შეუძლიათ, ამაზე წინასწარ შეთანხმებით, საქმის არსის გამოსარკვევად ადგილზე მოახდინონ სასაზღვრო კონფლიქტების ან ინციდენტების გამოძიება. ასეთ შემთხვევებში მესაზღვრე კომისარებს და მათ თანაშემწეებს შეუძლიათ კონფლიქტის ან ინციდენტის ადგილზე თან წაიყვანონ, თუ ეს გამოწვეულია აუცილებლობით, ექსპერტები, თარჯიმნები, მოწმეები და დაზარალებულნი. ასეთ გამოძიებას ხელმძღვანელობს ის მხარე, რომლის ტერიტორიაზეც იგი ხდება.

გამოძიების შესახებ უნდა შედგეს შესაბამისი აქტი ან სხვა დოკუმენტი, რომელიც შემდეგ სხდომის ოქმს დაერთვის. აღნიშნული აქტი ან სხვა დოკუმენტი უნდა შედგეს ამ ხელშეკრულების 29 მუხლით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 83

მესაზღვრე კომისრები მოვალენი არიან უმოკლეს ვადაში აცნობონ ერთმანეთს, თუ რა ზომები გაატარეს სხდომაზე ან შეხვედრის დროს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მუხლი 84

მესაზღვრე კომისრები ურთიერთშეთანხმებით აწესებენ საზღვარზე შესახვედრ პუნქტებს, სადაც ხდება მათი სამსახურებრივი კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლა, აგრეთვე ხალხისა და ქონების გადაცემა-გადმოცემა. ასეთ შესახვედრ პუნქტებს მესაზღვრე კომისრები დააწესებენ მათ პირველ სხდომაზე ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. ამ შესახვედრი პუნქტების რაოდენობა და ადგილმდებარეობა მესაზღვრე კომისრებმა შეიძლება შეცვალონ ურთიერთშეთანხმებით.

ხალხის გადაცემა უნდა მოახდინონ პირადად მესაზღვრე კომისრებმა ან მათმა თანაშემწეებმა.

თუ სად და როდის უნდა მოხდეს ყოველი ასეთი გადაცემა-გადმოცემა, ამაზე ურთიერთშორის შეთანხმდებიან მესაზღვრე კომისრები ან მათი თანაშემწეები, პირუტყვის გადაცემა-გადმოცემა უნდა მოხდეს იმ რაიონში, სადაც მან საზღვარი გადაიარა. ცხოველების ან ქონების, აგრეთვე სამსახურებრივი კორესპონდენციის გადაცემა-გადმოცემა შეიძლება მესაზღვრე კომისრების დავლებით მოახდინონ სასაზღვრო პოსტების უფროსებმა.

სანსახურებრივი კორესპონდენციის მიღება უნდა ხდებოდეს მთელი დღე-ღამის განმავლობაში თვით უქმე და სამუშაოდან თავისუფალ სხვა დღეებშიც კი.

მესაზღვრე კომისრები ურთიერთშეთანხმებით აწესებენ ხელწერილთა ნიშნუებს, რომლებიც მათ უნდა გასცენ კორესპონდენციის ან პირუტყვისა და სხვა ქონების მიღების დროს.

მესაზღვრე კომისრები შეთანხმდებიან სიგნალების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენონ მეორე მხარის სასაზღვრო დაცვის გამოსაძახებლად.

მუხლი 85

მესაზღვრე კომისრებს, მათ მოადგილეებს, თანაშემწეებს, მდივნებს, თარჯინებს და ექსპერტებს შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე, რათა შეასრულონ თავიანთი სანსახურებრივი ფუნქციები, რომლებიც გამომდინარეობენ ამ ხელშეკრულების დადგენილებებიდან.

მესაზღვრე კომისრები, მათი მოადგილეები და თანაშემწეები საზღვარს გადადიან ამ ხელშეკრულების 25 მუხლით გათვალისწინებული წერილობითი რწმუნების საფუძველზე, რომელსაც უნდა ჰქონდეს მფლობელის ფოტოსურათი და ხელის მოწერა, აგრეთვე მეორე მხარის მესაზღვრე კომისრის ვიზა (რწმუნების ნიშნული დანართი № 1).

მდივნები და თარჯიმნები საზღვარს გადადიან იმ ზოწმობის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ერთი მხარის მესაზღვრე კომისარი ექვს თვემდე ვალით. მოწმობას უნდა ჰქონდეს მფლობელის ფოტოსურათი და ხელის მოწერა (მოწმობის ნიმუშია დანართი № 2).

ექსპერტებს და იმ პირებს, რომელთა ყოფნაც საჭიროა რომელიმე საკითხის გამოსარკვევად, შეუძლიათ გადავიდნენ საზღვარზე იქით-აქეთ საზღვრის ერთჯერადი გადასვლის მოწმობით, რომელიც მოქმედებს 24 საათის განმავლობაში საზღვრის გადასვლის მომენტიდან. მოწმობას გასცემს ერთი მხარის მესაზღვრე კომისარი და ვიზას აძლევს მეორე მხარის მესაზღვრე კომისარი (მოწმობის ნიმუშია დანართი № 3).

მუხლი 36

ამ ხელშეკრულების 35 მუხლის პირველ აბზაცში აღნიშნული პირები საზღვარს გადავლენ მხოლოდ იმ პუნქტებში, რომლებიც დადგენილია 34 მუხლის თანახმად, თუ მესაზღვრე კომისრები ან მათი თანაშემწეები არ შეთანხმდნენ საზღვარზე გადასვლის სხვა ადგილის შესახებ.

საზღვარზე ყოველი გადასვლის დღისა და საათის შესახებ საჭიროა წინასწარ, ყოველ შემთხვევაში, 24 საათით ადრე მაინც, აცნობონ მეორე მხარის უახლოეს სასაზღვრო პოსტს, რომელიც მოვალეა შესახვედრ პუნქტში გაგზავნოს თავისი გამყოლი.

მესაზღვრე კომისრებს, აგრეთვე სხვა პირებს, მოხსენიებულთ ამ ხელშეკრულების 35 მუხლის პირველ აბზაცში, უფლება ენიჭებათ საზღვარზე გადასვლისას ატარონ დაწესებული ფორმა და პირადი იარაღი.

მუხლი 37

მესაზღვრე კომისრებისათვის, აგრეთვე ამ ხელშეკრულების 35 მუხლის პირველ აბზაცში მოხსენიებული სხვა პირებისათვის გარანტირებულია მათი პირადი ხელშეუხებლობა, აგრეთვე იმ სამსახურებრივი ქაღალდების ხელშეუხებლობა, რომლებიც მათ თან ექნებათ.

ზემოხსენებულ პირებს უფლება ენიჭებათ უბაჟოდ და სხვა გამოსაღებით დაუბეგრავად თან წაიღონ მეორე მხარის ტერიტორიაზე მუშაობისათვის საჭირო საგნები, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა ქონება იმ პირობით, რომ ისინი უკან წაიღებენ მათ, აგრეთვე სასურსათო პროდუქტები და თამბაქოს ნაწარმი პირადი სარგებლობისათვის (გარდა გამოყენებულისა).

ამ ხელშეკრულების 35 მუხლის მეოთხე აბზაცში მოხსენიებული პირები მეორე მხარის ტერიტორიაზე ყოფნის დროს სარგებლობენ ხელშეუხებლობით და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაკავებულ იქნან.

მუხლი 38

ხელშეკრულების დამდები თითოეული მხარე ფარავს ყველა ხარჯს, დაკავშირებულს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მის მოვალეობათა შესრულებასთან.

მუხლი 39

